ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41.41210904**

თარიღი:**31/03/2021**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 30 აპრილს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-4021088108 მომართვაზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N26 დადგენილეაში ცვლილების შეტანის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106^1 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106^2 მუხლის მე-3 ნაწილის, 106^5 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 31 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე - - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N26 დადგენილეაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და შესაბამისი პროექტი.

3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2021 წლის 30 აპრილამდე.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 9 აპრილამდე.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – დავით ხუხიას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს - ვეფხვია რუსიას.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge